



# აშუაპირს ააფორასნი



№ 18



КНИЖНЫЙ "ХЛОПЪ"  
Контора Газетъ  
и Журналовъ  
С. А. Пурцхалашвили  
Багумъ—Нуря.

პურიშკევიზი.

რაგენა არ ვიცი ლმერთანია!  
იღარ მშორადება ეს „მანი“.

ამ სკანდალისტის განმარტებითა  
„მ“ „მერზავეც“ ათ იკითხებისა.

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

(კელიძის\*) რევიზიის).

მოწყალეო ხელმწიფე ბ-ნო ეშმაკო! თანახმათ თქვენი მოწერილობისა, ამა ემდინარე წლის იანვრის შუა რიცხვებიდან შევუღდე თქვენ ფრიად მძიმე მონდობილობის აღსრულებას, შესახებ ქ. კელიძის საქმეთა ვითარების რევიზიისა და საქიროთ ვრაც მოვავლინო თქვენს ყურებამდე ქვემოთ აღნიშნული გარემოებანი.

## აღსასრული რევილიუციისა.

ადგილობრივი ადმინისტრაციის შორს გამკერტელმა გონებამ უკვე მიაგნო ბუდეს რუსეთის რევილიუციისას. უმთავრესი მომქმენდი კრამოლისანი თვალის ასახევით თურმე გემნაზიასა და რეალურ სასწავლებელში ყოფილან ჩაწერილნი. რამდენიმე მათგანი „დავატომრეთ“. ამათგან ყველაზე ხნიერი 13 წლისა და 7 თვისა არის. ამის გამო კელიძის მოსალოცი დებეში მიუღია ადესელ მიქიაშვილისა და გიგინეიშვილისაგან.

## რევილიუციისა.

ცხადზე უცხადესია, რომ ადგილობრივ დაბალ ადმინისტრაციაში ცვლილებას შეიტანენ. ამობენ ძველებს სხვაგან გადაზავნიან და აქ ბოქაული კელიძის ძმებს, ბიძაშვილებს, ბიძიშვილიშვილებს, ბიძიშვილიშვილიშვილებს და სხ. დანიშნავენო. ბახტაძის ადგილას უკვე გამოიყვანეს ქიათურიდან კელიძის ძმა. ქალაქში დიდი სიხარულია, ე. ი. აღფროვანება.

## შერლოკ ხოლმსები.

სხვა და სხვა ინგლისებიდან და გერმანიებიდან ჩვენი კელიძისათვის გამოუწერიათ შრავლის უმრავლესი შერლოკ ხოლმსები; მათი ნახვა მუდამ ჟამს შეიძლება ბუღვარის რაიონში, რომელიც უმთავრესათ ყურადღებას იპყრობს.

## მეტი სინათლე!

არხად ადმინისტრაციის ისე არ უყვარს სინათლე, როგორც ეს კელიძისათვისა. უკვე გამოიცა განკარგულება: თითოეულმა ოჯახმა, თითოეულმა მელქემს შეეძველათ იქონიოს ანთებული ფარანი ღრუბლიან დღეში და ყოველგვარ ღამეში. ამის გამო ბაქოელი ნავთის მწარმოებლები მადლობის აღრესს ამზადებენ ვისთვისაც ჯერ არს.

თანახმათ თფილისის ქალაქის გამგეობისა ჩვენმა ქალაქის საბჭომაც ზედმეტხა რჯათ სცნო ამ განკარგულების შემდეგ ქალაქის განათება. ამ გარემოებას ხელი შეუწყო კიდევ ფინანსის უქონლობამ, რადგან თითქმის მთელი შემოსავალი ქალაქისა პოლი-

\* კელიძისი ძველათ ქუთაისის ეწოდებოდა.

ციის და უბრავის მოსამსახურეთა \*) შენახვას უნდებდა. ქალაქის გამგეობამ კომისია აირჩია ფანცხანას თავმჯდომარეობით, რომელსაც დაეცა გამოწახოს სახსარი, ადმინისტრაციისათვის ჩვენებური სამადლობელი სადილის გასამართავათ.

## „ღენერალის“ დასუსტება.

„ფარის“ მეორე ნომერში მოთავსებული ლექსის „შეთხუზვის“ შემდეგ ღენერალი სილოვანი ფრიად დასუსტებულა და აღთქმა მიუცია ლეთისათვის არასოდეს პოეზიას აღარ გაეკაროს. სათავდაზნაურო გიმნაზია სწუხს ამისა გამო. ვნახოთ ვასტებს თუ არა-ფიც!

## ტანისამოსი არ გინდა?

აქაურმა მეკრავალ-ბატონებმა ლოკაუტი დაარტყეს თაფიანთ მუშებს. კოსტავა და ცაგარელი ძლიერ შეშინებულნი არიან: მუშებმა ჩვენ საწინააღმდეგეთ პოლიციას არ მიმართონო“. შესახებ ამისა წერილებიც გაუგზავნიან „ფარ-ისარის“ რედაქციებში, მაგრამ გაუგებებში არ ჩაუგდიათ. ახლა ამის გამო, და უმთავრესათ იმისთვის, რომ მანეთნახევარი ტყვილათ დაკარგეს წერილის დაწერაში, სახისათვის დიდი დარღვევილობა მიუციათ.

## სასიამოვნო თანხობა.

ადმინისტრაციის მიუმართავს უბრავისათვის: თქვენი ძველი და ახალი სადგომები ცხისისთვის დაგვითმეთო. გამგეობამ ფიცხელი კრება მოახდინა და ქ. ბაქრადის პირით ეს აზრი გამოსთქვა: კეთებით მაინც არაფერს ვაკეთებთ, სადგომის უქონლო ბა ხელს არ შეგვიშლის და თუ ჯამაგირებს არ მოგვისპობენ დავთანხმდეთო. უბრავას მოსწონებია, მიუღია ეს აზრი და მოუხსენებია სადაც ჯერ არს.

## რევიზორ-ეშმაკი.

P. S. ვარეშე ზემო აღნიშნულისა ვთხოვთ, ბ-ნო ეშმაკო, გვიშველოთ რამე. აქაურ ქალებში ქორიკანობას იმ ზომამდე გაუმწვავებია საქმე, რომ ლამის ერთმანეთს დაერივნ და დახოცონ. თანახმად ამისა თუ დროზე არ მოგვაშველეთ თქვენი მათრახი და სვერმაკუნინი, აქაური „ეს-ფერები“ ღენერლისა თვისისა წინამძღოლობით მათ ამოკლეთას ჩვენ დაგვაბრალებენ,

რ. ე.



\*) რასაკვირველია თვინიერ მასწავლებლებისა, ვინიდან მათ აგერ მესამე თვეა ჯამაგირი არ მი ჯღ ო.



მისტიკული.

„ე ა რ ო ს ნ ე ბ ი“.

II

კვლავ მინდა სტვირი მოვმართო,  
 მოვითხროთ დანაპირები:  
 შესამკობ-სადიდებელი  
 ერთობ ბევრი გვყავს გმირები!  
 იმათი „საქმე ნაღაწი“  
 გასაოც-გასაკვირები,  
 ყველას გასმენიათ ვიმელობ  
 ბოლო ჟამს განახშირები.

აბაშიძესა კიტასა

ქუთაისს უძვეს ბინაო,  
 იმისი მჯობნი „ეს-ფერი“  
 ღმერთმა კი შეარცხვინაო;  
 გიორგის ნათესავია  
 ნათლი-მამა, თუ სვინაო,  
 შავი-ქვისაკენ ქოქები  
 მრავალჯერ გაიწვდინაო.

კრიტიკის მიდრეკილებას  
 განიცდის ერთობ ფრიადსა,  
 აცხოზს და აცხოზს „სტატეებს“  
 შინაარსებით წყევლიდას;  
 თანაც რეგენულათ მუდამ-ჟამს  
 კითხვებსა ჯიჯგნის ღიადსა,  
 (ვითა უკბილო ბებერი  
 ქვასავით გამხმარ ხშიადსა).

არ იკარებენ სირცხვილსა  
 შუბლისა იმის ძვალები,  
 უკულმა ხედვენ ყოველთა  
 მისი გონების თვალები.  
 „იმერელ ამრჩევლოსათ“  
 შურისგან განაწვალები,  
 ნაცარ-ქექიას მაგონებს  
 „მოღვაწე“ შესაბრალები.

მას ჟამსა შინა „სცენიდან“  
 „პოგრომებს“ მოციქულობდა  
 „შინაურ მტერთა“ სამუსრად  
 იმისი გულიც გულობდა;  
 უწმაწურ ქორიკანობას  
 აროდეს ენაბმულობდა,  
 წერილობით თუ ზებირათ  
 ურცხვათ, უტრფათ თქმულობდა.

ილიას მოკვლამ ამასაც  
 მთლად წარუტაცა გონება,  
 ისეთსა მოჰყვა ლალადისს  
 ყურად არ გაიგონება;  
 ბავშვებში გადაერია,  
 („ნაკადულს“ მოეწონება)  
 ძრახვა-ჰყო ეზუიტობით  
 წაბილწოს მათი გონება.

მოუთხრო „ჩვილთა ქართველთა“,  
 რაც წამოადგა პირზედა,  
 (ენა არ შეუბოკდებდა  
 „შინაურ მტერთა“ ძვირზედა).  
 მთელი საათი ილაყბა  
 „სამშობლოს“ გასაქირზედა,  
 (არ ჩამოხტების ვაგლახათ  
 თუ კი შებრძანდა ვირზედა).

მაგრამ: „ჩოჩორსა ურქობით  
 არ დაერქმევის ბოჩოლა“,  
 ვერა რას არგებს კიტასაც  
 ამა ზღაპართა მოყოლა...  
 თუ „ბოძოლა“ უნდა, სხვა მხრიდან  
 აჯობებს ერი-მოწოლა,  
 დღეს კი, ამ ოინისათვის  
 თავს დაეყაროთ „ქოქოლა“.

ახლაც ცულულტობს ეს ვაფი,  
 არა ერთ-გზობის ძრახული,  
 ფედერალისტთა უნიკო  
 კრიტიკი, გამოსახული;  
 სურაღს შემდღეში მოგართმევთ,  
 თუ რომ არა გყავთ ნახული  
 ხელთა მაქვს მისი ფათრეთი  
 ძნელი გზით გამონახული.

დღეს კი ვიკმაროთ რაინდის  
 ესოდენ ხოტბა-ქებანი  
 ისიც ეყოფა რაც სხვა დროს  
 იგემა „გამარჯვებანი“.  
 სხვათა დაუხმობთ გმირებსა  
 დავსწეროთ მოხსენებანი,  
 „ფაროსანი“ რაზმელებისა  
 წინ გვიდგას მთელი წყებანი.

„საუკეთესო“ ფედერალისტი.

ვახუტე „ცისკარის“ ფელეტონში ალბათ შეცდომით ბ-ნი ვ. მუსხელია?ვილი „საუკეთესო“ ფედერალისტათ იყო მონათლული. შეცდომით მიგვანჩია ეს სახელ-წოდება იმიტომ, რომ ცნობილ დრამატურდ ვალერიან ქლგუნიანზე საუკეთესო ფედერალისტი ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, არა თუ მარტო თფილისში, არამედ მთელს ქართლში და სრულიად საქართველოშიაც. წარმოიდგინეთ ხარბინის ფულის საქმეშიაც, მან უდიდესი როლი იკისრა, როლი ცილისმწამებელისა, ხოლო რაიცა შეეხება ბ-ნს მუსხელივსა და კომპ. ის მხოლოდ მიზეზიან ბავშვებსავით მარტო ფედერალისტ“ თავმჯდომარეს თხოულობდა და ამასთანავე როგორც არა ურიგო „სკანდალისტი“ საქმის ჩაშლაშიაც რიგიანი გამოდგა.

ამგვართ „ცისკარის“ მეფელეტონეს არავითარი უფლება არ ჰქონდა „საუკეთესო ფედერალისტი“ სახელი ორბიანი რედაქტორ-დრამატურდისათვის ჩამოერთმია და ვიციცა, თუნდაც ცალმხრივი მოსამართლისა სკანდალისტისათვის მიენიჭებია.

მიუხედავთ ამისა ბ-ნი ვ. მუსხელია?ვილის შეუფერებია ასეთი „საპატიო“ სახელი და ერთი ორი ციდა წერილიც დაუწერია ვალერიან ლგუნიანს ვახუტე „ისარში“. მაგრამ რაღა ეწერილებოდა ამ დალოცვილს კაცმა არ იცის. ფედერალისტთა სამსახურათ განა არ ეყოფოდა, რომ სამედიატორო სამართლო ჩაშალა, მიუხედავთ მისი „ქეშმარიტი“ შედგენილობისა? ჰაი ჰაი რომ ეყოფოდა, მაგრამ მუსხელივს უნდოდა სავსებით შეერჩინა „საპატიო“ სახელი „საუკეთესო ფედერალისტისა“ და ძველ სამსახურს ამ წერილით ერთი უადრესი სიყალბეც დაუმატა. ამ სიყალბის შემდეგ მართლაც უფლება აქვს მას „და დაჯდეს მარჯვნივ გუნდისა, რომლისა სიფილიდესა არა აქვს დასასრული“.

ზემოხსენებულ სიყალბეს გარდა ერთი სასაცილო ამბავიც დამართა ჩვენ საუკეთესო ფედერალისტი“. მას საიდგანლაც წარმოუდგენია, რომ „საუკეთესო ფედერალისტობა“ იგივე და ივია რაც საუკეთესო სოციალისტობა და შიშის ქარი გასდგომია—ჰაი გიდი სად იყო მაშინ ერთი მათრახის კუდი, როცა ამას ფიქრობდა. სად გაგონილა ბ-ნო ჩემო, ფედერალისტობა და სოციალისტობა ერთმანეთში აერთიოს თუნდაც სრულიად გოროდოვოსის? ეს მარტო მხოლოდ „საუკეთესო ფედერალისტების“ ნიშნობლივი თვისებაა. შეშინებული ტვინი რას არ დაუყვებს, მაგრამ ასეთ უმნიშვნელო რამეზე თუ გადაიროდა აბა ვის ეგონა!! „როცა თქვენი რეკომენდაციის ნაყოფს ვიგემებო“ ბოდავს შეშინებული ტვინი „საუკეთესო ფედერალისტისა“, „მაშინ, გი-

წოდებთ ნამდვილ სახელსო“. ნუ გეშინათ ბ-ნო ფედერალისტი! პირობას გაძღვეთ ამ სახელ-წოდებისათვის „ნიშადურის“ სრული ნომრების მეტს არაფერს არ მიიღებთ. სილოვან ხუნდაძე თქვენზე ბევრათ გაბედული ყოფილა, რადგან თავისი ხელით სწერს, რომ საუკეთესო თუ არა; კარგი ფედერალისტი მაინცაა.

მთელი ჩვენი სისამართლოები პოლიტიკური საქმეებით სამსეა ბ-ნო „საუკეთესო ფედერალისტი“ აბა სად გაგიგონიათ „ფედერალისტობისათვის“ ვინმე დაესაჯოთ? რამ შეგვანჩიათ ასე საშინლათ? დღევანდელი მოსამართლეები იმათ ებრძვიან, ვინც მათ ებრძვის და თქვენ „საუკეთესო ფედერალისტობა“ ხომ მარტო სოციალ-დემოკრატებს ებრძვით? ეს უპირველესი საქმე თქვენი მოღვაწეობისა „საკონომ ნე კარატესია“, და მივიკრს რამ შეგვანჩიათ.

მაშ ვგრე მიუხედავთ იმისა, რომ 1) თავისი ბავშვური „კაპრიზით“ ვ. მუსხელია?ვილმა სამედიატორო სამართალი ჩაშალა. 2) მიუხედავთ იმისა, რომ საპასუხო წერილში ერთი უზარ-მაზარი სიყალბე კვლავ გამოაცხობ და თავზე დაიხურა, 3) მიუხედავთ იმისა, რომ ჰეტრე სურგულაძე სოც. დემოკრ. აჩუქა და გუნცაძე პარტიიდან გააგდო, ვ. მუსხელია?ვილი მაინც არ არის „საუკეთესო“ ფედერალისტი, რასა შინა ხელს ვაწერ.

დამე.

მსურს, რომ ვიმღერო!

მსურს, რომ ვიმღერო ვამბხიარულდე, სხეებსაც ვასმინო სიმთა უღერანი, იქნება წამით მაინც დამშვიდდეს დარდით აშლილნი გულის ძკერანი.

მსურს, რომ ვიმღერო, გულსა არ სჯერა ამბობს, თუ რა გაქვს გასახარელი, და, ან რით ძარვიძს, რომ განმიქარვა რაც ჩემში ბუღობს მწარე ნალველი.

მსურს, რომ ვიმღერო, სხეებიც ვამღერო დარდების მონა სულ ვერ ვიქნები, მაგრამ, რომ ვიწყებ, გული არ სჯერა, შემომაწვება მწარე ფიქრები.

მსურს, რომ ვიმღერო, რადგან უდროვით ბედმა მარგუნა მწარე დარდები, ან რა ქუაა სულ ნალველი ვსვა, მეორეთ ხომ ვერ დავიბადებო!

მსურს, რომ ვიმღერო, ეპ რა მამღერებს სასიხარულო რა დამრჩენია,

რის განკურნებას ხალხი ემსხვერპლა, ის წყლული კიდევ მოსარჩენია.

მსურს, რომ ვიმღერო, მაგრამ ჯერ არა უგულო მღერის ნუ გაქვს იმედი, და არც ვიმღერებ სანამ მშრომელ ხალხს, არ შეეცვლება ტანჯული ბედი  
ალექსანდრე კვაჩაძე.

## გურული სცენა.

### აღუკატი-სმატრიტელი.

მართალია დიდი სწავლა არ მიმიღია მარა ცხოვე-  
კათი, ერთი კაი დილობიანი აღუკატი მანც ვერ მ-  
ჯობებდა საქმის დაცვაში. მუშტარინ ბუერი შევდა ანკი  
რეიზა არ შეეოღებოდა, მე ტყავს კი არეკაცს ვაძრბ-  
დი—ვისც რა მოედინისიებოდა იმას ვკურდებოდა;  
ერთი გზობა ერთ ვახასს ერთი კალათა ჭეიში გამურ-  
თვი მეტი აუერი ქანდა—ამის გულისა მოელ სამ საათს  
ვიღანაჯე. მართალია როცა საქმეს ვიცავდი ხან რუსუ-  
ლი შემომავლებოდა ხან სტატია არ გამასხენებოდა,  
მარა არ არც ამით ვაფუშებდა საქმეს...ერთი გზობა და-  
მაფიქტა სტატია, ბუერი ვიქექე თავა, მარა არ იქნა ვერ  
გვესხენე. მეტი გზა აღარ იყო და მოვასხენე სუდაის  
კასხლან სუდას „ნა ასნაჟიი ვესე სტატია უსტავა ი  
სვოდა რუსკავო ხაკონა ი სუდამბოთავოტვას ზროჟუ  
აზრავდიტ მიი კლიოტრ“. იფსურტუნს სუდაიმ და ზურეო-  
ჩიკა მარა დამსაშვე მანც გამართლეს. ხანდა ხან რუ-  
სულში ქართულსც ჩავაგერბოდი. მკალითად ერთი გზო-  
ბა სუდაის უთხარი „თნ ბოლშე ვზაიდ ვადრე სდედო-  
ვადო“ მარა ასე იყო თუ ისე ნიკოკაჟე ვეკეთსი რუ-  
სული მანც ვინციდი და მას თუ კი მიროფოთა ზოსრედ-  
ნიკობა მისცეს მე ციხის სმატრიტელობას ვინ შემეცი-  
დებოდა. ნიკოკი ერთი გზობა ზანოტნი ვარაულებო იყო.  
აფხანიკებს მასხარათ ვაჯდენ აჯდებული და ცხენს კულში  
გარხადა ამოსცხენ\*) ცხენმა დეიწუო გვანტრიბი. გამან-  
დროი გაჯავრდა—ნიკოკამ მოასხენას: „ბარან გამანდარ  
დოშად ზოდ კულში კარნიცუ მასვიტ მიი ტოვარიშ  
ჩორტვიტო“. ბუერი იდინეს. მეოერ გზობა ვესდის  
ნანანიკეს უთხრა: „კავოთი, ვინაჟ ბუეანჟო სბუდარ კურ-  
ცი ვარვიტ“. მარა ავი აფერია, ვესდის ნანანიკე და-  
სარენკოს ვარესი უთხრა: „თა ვინაჟ ნიხ ნა ვამ დობ  
ტანცულ! მე ამფერათ არასიდეს არ შემეცენია რუსული.  
საქმეც კარგა მიდიოდა მარა გაჩნდა შეჭენებული რეფო-  
ლოუცია და მეც და ნიკოკისაც ბოიოტი მოგვარტყეს...  
ვიარეობოთ ორივე ჭირიანსავით—ვათამ ორივეს ვამი  
გვეჭრდა არე კატი არ გვეკარებოდა... მარა დეოდოტა

რუსები—ასშენ დმერთამ რეაქციის ოჯახი, მუაწვა და  
მუანათა, გადაადირდილეს მთელი ოსურგეთი. განთლდა  
ჩენი გული. . ბუერი იახლა კამანდირს, ბუერმა შესწირა  
მადლობა. ვაწირადების ღაკამის ამოდეპისა მეც ვი-  
სელი მოვასხენე ჩემი ზორდუქოთი სმისოკი—დეუწიგნე  
ვეკლადური ვინ რას ჩადიოდა ვინ რას შობა. გესერადს  
მოვეწონე. სდაიტეს ზოვოდოსტა—მიბრძანა—ნიჩეო  
ვამე ზრეეოსხაიტედოსტოთა ია ბუდე ზეშეომ სტიატ  
მეთკი—უთხარი მოკონა ჩემი მორჩილება, მომცა ბი-  
ლეთი იმეური რომ ვოვედოვინ შემეძლო მასთან მისე-  
ლა, დამრიგა, დამინიშნა ვამიგარი მეც დავფცურდი.  
მეტი ხლობა რომ დამემსხურებია ჩემი საკუთარი შეი-  
ლიც კი გადავასხენებოდე. დამიფასეს სამსხურე ციხის  
ნანანიკობა მომცეს. ვამიგარიც კი მაქ და გამოსრჩენი  
ბუერი. ჩემი დროი ქე მოვეჭამე ასე კარგად და აწი ჩემი-  
თაც კი წავებტი... იმის დადრი მაქ...

### პიტნა.

## ჩენი კორესპონდენტების საუბრადლებოთ.

ვევლიან, სადაც კი პარლამენტარული რეჟიმი, პარ-  
ლამენტს უფლება აქვს შეითხოვოს. ზოგ ქვეყნებში ეს უფ-  
ლება სრულია, ზოგან კი—კუდმოცეცილი, როგორც, მაგა-  
ლითად, გერმანიაში და რუსეთში. ამ უფლებით ხალხის წარ-  
მომადგენლებს ქვეყნის ბატონ-პატრონებს ან უქანასკლთა-  
გან და ან მათ ავეტებოს მიერ ჩაღწეო სხვა და სხვა უკა-  
ნონო და უმსავსე მოქმედების შესახებ პასუხს ავებინებენ  
და, სადაც ხალხს სრული უფლება აქვს, იქ ამ შეითხოვის  
უფლების წყალობით ხშირათ მოაერობასაც ვაღმთაყუებდენ  
ძირს.

ჩვენს მაღლიან ქვეყანაში კალბ მოღვაწეთა მიერ უმს-  
გავსო საქციელოს ჩაღწეა დიხა რამ ხშირი მოვლენაა. ამი-  
ტომ ურიგო არ იქნება „უმშაკის მათრახში“ შეკითხვათა  
განყოფილება გაახსნას. მართალია უსტავაობათა ჩამდენ  
ვაქტულ ვაებატონებს ჩვენი შეკითხვა მათ თჟილ ადგილე-  
ბიდან ვერ ვაღმთაყუებდეს, მარა საზოგადოების წინაშე ზომ  
დანარტებებს მათ მთელი მათი სოკრტე-სიგანით. მამ მოვემარ-  
თოთ ჩვენი მათრახის კული და სხვათა ზორის, შეკითხვები-  
თთ წავეწყვიტრიოთ ის სამათრახე ვაებატონების პაკიციე-  
მულ ზურგებს.

### შეკითხვები.

1.  
მოეხსენება თუ არა „უმშაკს“, რომ ფედერალისტების  
მიერ ფ. მახარაძის საწინააღმდეგოთ წამოყენებულ სახიზარო  
ცილის წამების გასარჩევით დანიშნულ სამედიატორო სასა-  
მართლოს ზოგიერთმა წევრებმა, გუნიასაგან არჩეულებმა,  
პეტრე სურგულაძემ და ვახტანგ მუსხელივამ—მოინდომეს  
შეღვინათ ფედერალისტთა სასამართლო და ამ მიზნით მათ  
უარყვეს სასამართლოს თავმჯდომარეთ ნეიტრალური პირები  
და სამაგიეროთ წამოაყენეს „ყოვლად მიუღდომელი“ ფედ-  
რალისტები ივ. ზურაბიშვილი და სხვ. და თუ ეს მოეხსენე-  
ბა „უმშაკს“, ასეთ უმსგავსოების წინააღმდეგ რა ზომების  
მიღებას აპირებთ?

2.  
მოეხსენება თუ არა „უმშაკს“, რომ ფ. მახარაძის მიერ  
არჩეული მოსამართლეები, რომ ფედერალისტთა დიდებული  
განძრახვა (სასამართლოს ჩაშლა) და არტულებულიყო დასა-

\*) მაშინ გუნიას ნიშნადური არ იყო, თორემ იმას ამო-  
სცებდენ.

სამართლო არ დაშლილიყო, იძულებული გახდენ გუნის დელიკანდების მიერ ნაჩვენები პირი აერჩიათ თავმჯდომარემ, ამ თავმჯდომარემ კი თავის არსებისაგან, პეტრე სურგულაძისა და ვახტანგ მუსხელივისაგან შეადგინა სახელოვანი ტრიო და ამ ტრიომ სასახელო ფედერალისტთა უარყო სამართლიანი მოთხოვნა—ფედერალით სასამართლოს პირველი სხდომის ოქმი და მით დაამტკიცა თვისი უმწვერვალესი „მიუღვამლობა“? თუ ეს მოეხსენება „უმჯავს“, ვეითხებით მას: რის ღირსია ეს სახელოვანი ირაკლი-პეტრე-ვახტანგი და რა ზომების მოღებას აპირებს მათ გასადაშიანებლათ?

3.

მოეხსენება თუ არა „უმჯავს“, რომ ფედერალისტებმა მათ მიერ წამოყენებული საზოგადოებრივი ცილის წამება ვერაფრით ვერ დაამტკიცეს და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში ყავდათ უმრავლესობა სახელოვან ტრიოს სახით, მაინც ვერ გაბედეს განაჩენი გამოეტანათ—ორჯერ-ორი შევიდისათა და ამიტომ ტრიოს ერთმა წევრმა, სახელდებ ვახტანგ მუსხელივმა თითზე დაიხეია უმნიშვნელო მიზეზი (როგორ შეკადრეთ მის ბრწყინვალეობას კნენა ნინოს სიცრუეს ამბობს) და რომ სასამართლო ჩაეშალა, მოჰკურცხლა სასამართლოდან, ამნაირათ მისი ბრწყინვალეობა კნენა ნინო მან სასამართლოზე მალა დააყენა და სასამართლოს დაშლით ვითომდა იხსნა მანისი უჩუბხულ მდგომარეობისაგან? მოეხსენება ეს ხომ „უმჯავს“ და თუ მოეხსენება, რამდენ ყანწ სპერმაკუდის ანხადებს ყოვლად მიუღვამელ მსაჯულ ვახტანგ მუსხელივისათვის?

4.

ხომ მოეხსენება იმავე „უმჯავს“, რომ მერე, როცა სასამართლო ჩაშალეს, დიდებულ ტრიოს ფ. მახარაძის მიერ არჩეულმა მსაჯულებმა წინადადება მისცეს გამოქვეყნებინათ ყოველივე ის, რაც სასამართლომ ამ საქმის შესახებ გამოარკვია, მარა საისტორიო ტრიომ, როგორც „მიუღვამლობის განხორციელებამ“, ეს წინადადება უარყო (ალბათ იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოება არ მაცნობდა გამოძიებულ მასალას, მაშინ ხომ ცხადზე უხსადესათ დამტკიცდებოდა ფედერალისტთა საზოგადოებრივი ცილის წამება?) თუ მოეხსენება ეს „უმჯავს“, მომიგოს შემდეგ კითხვაზე: რა ეკადრება არა ამოძიებულ მასალის გამოქვეყნების უარყოფით, არამედ ფ. მახარაძის მსაჯულებს იმ გულუბრყვილობისათვის, რაც მათ წინადადებაში გამოკრთის: ნუ თუ არ იცოდენ იკინმა, რომ ამ საქმის სინათლეზე გამოტანა რომ სდომებოდათ ირაკლი-პეტრე-ვახტანგს, განა სასამართლოს ჩაშლიდნენ? ჰო და ამ გულუბრყვილობისათვის კახუხესან და ნანეიშვილს სპერმაკუდის რამდენიმე წვეთი ჩასაყლაპავათ ეკუთვნით, თუ არა?

5.

ხომ მოეხსენება „უმჯავს“, რომ ფედერალისტებმა ეს ჭორის გუდა, მათთვის ასე სამარცხვინოთ დაფუძვული, სოციალდემოკრატების ხალხში მისილის გასატყობათ თავის ორგანოში ჰპერეს და ჰპერეს და ბოლოს გამოახტუნეს და ააბლაყუნეს საცოდავი გუნია, რომელიც ფედერალისტებითურთ ერთად მათ მიერ შეთხუთ ჭორის მორვეში ჩაიხრჩო? ჰო და თუ ეს მოეხსენება „უმჯავს“, გვიანსუხოს; რა უშველის ჭორის მორვეში ჩაფლუბა ამ ხალხს, შეიძლება მათი იქედან ამოყვანა, თუ მუდამ იქ უნდა ვანისვენონ?

6.

ხომ მოეხსენება „უმჯავს“, რომ როცა სამედიატორთა სასამართლო ასე სამარცხვინოთ დასრულდა ფედერალისტებისა და გუნისათვის, ამ უკანასკნელმა თავის აყრალდულ

„ნიშადურის“ ფურცლებზე ყოვლათ უტიფრათ კვლავ ბანი-მეორა იგივე საზოგადოებრივი ცილის წამება? და თუ ეს მოეხსენება, ამის შემდეგ არის თუ არა საჭირო გამოკვლეულ იქნას გუნის სქელი შუბლის კანი იმის გასაგებათ: კიდევ შერჩა მას სინდისის ნიშანწყალი, თუ არა?

კენტი

ცდელ-ცხელი ამბები.  
(რუსეთის ცხოვრებიდან).

დიდ საყვედურს გვწერენ პეტერბურგიდან და სიმართლე რომ თქვას კაცმა ღირსიც ვართ საყვედურის. რაღაც ოხერი „სპერმაკუდინი“ გამოვიგონეთ, მივადექით და მარტო კავკასიაში ვასმევთ ჩვენ ავთიმყოფებს და რუსეთი ხომ სულ დაგავიწყდა. ამ მხრით სწორეთ რომ ვიწრო ნაციონალისტობა გამოვიჩინეთ. აგერ რამდენი ხანია რაც „სპერმაკუდინი“ ხმარებაშია და აბა ვანგებ იკითხეთ ქართველის მეტს თუ გადაუკარავს ჯერ ვინმეს. სახელმწიფო დუმის დეპუტატები წერილებს წერილებზე გვიგზავნიდენ, ბოლოს დეპუტატიც კოხვიით მოგვყარეს: არიქათ პურიშვევიჩი გადაგვერია; გვიშველეთ საქაროთ მოგვაწოდეთ „სპერმაკუდინი“, თორემ საქმე ცუდათ არისო, მაგრამ ჩვენ ყურიც არ ვათხოვეთ. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ პურიშვევიჩის ხან გამოშვებით მოსდიოდა სიგიჟე და გვეგონა „უსპერმაკუდინოთ“ შესაძლებელი იქნებოდა მისი მორჯულება. იმედი გავიცრუვდა. პურიშვევიჩის მოქმედებამ ყოველივე მოლოდინს გადააქარბა. სახელმწიფო დუმის 22 იანერის სხდომაზე ის ავიდა თურმე ტრიბუნაზე და თვალების ბრიალით და კბილთა ხრქიალით მორთო ყვირილი მარა, რა ყვირილი, მილიუკოვი „პალდეცი“ მილიუკოვი „მერხავეცი“ო ღირსადესა პურიშვევიჩი. მიელ დუმის შიშის ზარი დასცა თურმე ამ ამბავმა, როგორც გვატყობინებენ, კავკასიელი დეპუტატებს გარდა, შიშით ზოგი სტოლებს ქვეშ შეტყენ და ზოგიც კულუარებში გაიქცენ. პურიშვევიჩი ბოლოს როგორც იქნა დააშოშინეს და გამოუცხადეს, რომ დუმის 15 კრებაზე აღარ მივიდეს. ესლა მთელი დუმა გვთხოვს გავუზახნოთ „სპერმაკუდინი“, რომ ამ ხნის განავლობაში იქნება როგორმე განკურნონ პურიშვევიჩი. ჩემის აზრით „კუდინთან“ ერთათ საჭიროა მათრახის გაყოლებაც ზოგიერთ დეპუტატების შესახურებლათ

\*\*\*

— ამ დღეებში პეტერბურგში ჩამოვიდა ცნობილი ბანკირი მენდელსონი. გაიგეს თუ არა მისი ჩამოსვლა გახეთქება ერთი ამბავი ასტეტეს: ალბათ ფულების სესხება უნდათ და იმიტომ დიბარესო, როგორც ჩვეულებათ აქვთ ხელათ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნეს, რომ მენდელსონთან სხვა საქმე გვაქ და მის ჩამოსვლას ფულის სესხებასთან

არავითარი კავშირი არ აქვს. ეს რომ ცხადად უცხადესია აბა ამაში ექვი ვის დაებადება, ისე როგორც იმაში, რომ რუსეთის სესხი არ ესაჭიროება. ესლა ირწმუნებიან მენდელსონი იმიტომ დავიბარეთ, რომ გვინდა ერთი დიდი საქმე დაიწყეთ და გერმანიის კაპიტალისტებს მივცეთ ხელშეწყობა. ამ საქმისთვის საჭირო ყოფილა 28 მილიონი მანათი, (აბა რა ფეხებია 27 მილიონი მანათი) ეს დიდი საქმე, თურმე ნუ იტყვით, კავკასიაში უნდა დაიწყონ. ჰაი გიდი ბიჭო, მართლა თუ ჩვენში დაიწყეს, კავკასიის ბედს ხომ ძალდი არ დაყვეს მაშინ. ხოლო თუ ამ დიდ საქმეების დაწყებას მენდელსონის კავკასიაში ჩამოსვლა ც თან მოყვა, „სპერმაკულინი“ და მათრახი ჩვენი საქმე იყოს.

\* \*

— გურულებს რომ საზოგადო მოღვაწის დაფასება არ სკოლიათ ეს აშკარაა. გენერალმა ტოლმაჩევა მთელი თავისი ძალ ღონე შეაღია გურიის კეთილ-დღეობას და იმის მაგიერ, რომ დაეფასებთ მისი ღვაწლი ერთი ადრესიც კი არ მიართვეს წასვლის დროს და მხოლოდ მარტო დავით ხუცესმა და კომპ. გაუმართა სადილი. თუ გურულებმა ვერ დააფასეს, სამაგიეროთ ადგესლები ალტაცებაში არიან მისი მოქმედებით. დღე არ გაივლის ისე თურმე, რომ რაიმე ახალი არძანება არ გამოსცეს ტოლმაჩევა და სულ ისეთი გენიოსური, რომ უცხოეთის ელჩები ყოველ დღე დეპეშებს გზავნიან თავიანთ მთავრობასთან გენიოს აღმინისტრატორ გენერლის შესახებ. ამას წინათ გენერალმა პოლიციელებს უსაყვედურა ლაჩრები ხართო და სასტიკი ბრძანება გასცა, რომ გოროდოვოებს „შეწყობული“ გქონდეთ თოფები და დაინახოთ, თუ არა კრამოლნიკი მაშინვე ესროლოეთო. რასაკვირვებია, რომ გოროდოვოები ბრძანებას ასრულებენ და ჩქარა დამშვიდდება ადესა. ახლად გადაყვანილ ბოქაულ მიქიაშვილისთვის ნავთსადგურის დამშვიდება მიუნდვია და ისიც შესდგომია რეფორმებს. როგორც ლანჩხუთში, აქაც პირველი „რეპეტიცია“ ფარნებზე გაუმართავს.

\* \*

— „რუსთა კავშირი“ში დიდი არეც-დარეცა მოხდა. შეიბნენ ლიდერები, პურიშკევიჩი და დუბროვინი. პურიშკევიჩმა ქურდობა ჩაიდინა, „რუსთა კავშირის“ საბჭოდან საჭირო ქაღალდები მოიპარა, რომ დუბროვინის წინააღმდეგ საბუთები ხელთ ჩაეგდო და კავშირიდან გაავადეს. მარტოთ დარჩენილი პურიშკევიჩი შეუდგა ცალკე კავშირის შედგენას, ჯერ შეადგინა „მართლმადიდებელი კავშირი“, მაგრამ არავინ არ ჩაეწერა შიგ, შემდეგ შეადგინა „სუსანინის“ კავშირი, მაგრამ ვერც აქ იშოვნა

წევრები, შემდეგ შეადგინა „წმინდა გიორგის“ კავშირი, მაგრამ აქაც მარტო დარჩა. ესლა „მთავარ ანგელოზ მიხაილის“ კავშირი დაუარსებია, მარა აქაც უმტყუვნებს ბედი. საბრალო პურიშკევიჩი. თუ რამე უშველა „სპერმაკულინი“, თორემ მისი საქმე წასულია.

\* \*

— 10—16 თებერვლამდე პეტერბურგში მოხდება „რუსთა კავშირის“ სიეზი. შავრაზმელები შიშობდენ ნებას არ გვაძლევენო, მაგრამ 22 იანვარს უკვე მიიღეს ნებართვა. ამ სიეზზე თავს მოიყრიან მთელი რუსეთის ბნელი ძალები. სიეზი განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) ხალხის წარმომადგენლობის გაუქმება რუსეთში (ეს კითხვა უკამათოთ მიღებულ იქნება) 2) თვითმპყრობელობის აღდგენა (ამასაც უკამათოთ მიიღებენ) 3) დიქტატურის გამოცხადება (ამასაც უკამათოთ მიიღებენ) და სხვა. სიეზის კრებები დახურულ კარებში მოხდება. მიუხედავთ ამისა წინადადებას ვაძლევ, „ქვეყნის მატარახის“ რედაქციას გაგზავნოს თავის კორესპონდენტი და თან ერთი მათრახი და ბლომათ „სპერმაკულინი“ გაატანოს, რომ დელეგატებს გაუმასპინძლდეს.

\* \*

— 29 იანვარს მოხდა სახელმწიფო დუმის კრება. კრებამ განიხილა შემდეგი კანონპროექტები: 1) სახალხო განათლების სამინისტროს—ა) გადაღებულ იქნას 4 მილიონ 500 ათასი მანეთი გრიგორიევის მხარის სოფელ კუტომანის ორკლასიან სასწავლებელში მოსწავლეთათვის ცხვირის მოხოცვის ტაქტიკის პრაქტიკულათ შესასწავლათ. ბ) საყოველთაო განათლების პროექტის თანახმათ, შემოღებულ იქნას ყველა სასულიერო სასწავლებლებში და სემენარებში ცხენის დაქედვის ახალი სისტემა, რათა მომავალ მღვდლებს შეეძლოთ თავიანთი ჯორების ჭედვა. 2) შინაგან საქმეთა სამინისტროს—ა) გადაიდოს 4 მილიონ 320 ათასი მანათი გოროდოვების ზარბაზნებით შესაიარებლათ. ბ) გადაიდოს 3,5000 მანათი ჯაშუშ-პოლიციელთათვის ქუჩაში საჯდომ სკამების სასყიდლათ, რადგან ფეხზე დგომით რვეპატიზმები უჩნდებათ. ვ) უწმინდესი სინოდის—ა) ახალი წესები ხუცეს-დიაკონ შორის თავფების გაყოფის შესახებ—ბ) წირვის დროს ეკლესიაში დამთქნარების ახალი სისტემა. და სხვა. „მუშაობის უნარის“ მექონე დუმამ ყველა ეს კანონ-პროექტები ამ კრებაზედვე განიხილა, ზოგი უკამათოთ მიიღო და ზოგიც კომისიას გადასცა.

გუჯა.

ქართული მოღვაწეები.



სილოვან ხუნდაძე

ანუ

(ღენერალ ოტ ავტონომიი)

წინასიტყვაობა:

საქართველოს ცაზე ბევრი ვარსკვლავი ნათელი და სხივოსანი. ამათ სხივი უხვად ეფინება სამშობლო არც და წარსულის გზას უნათებს. ერთი ამ ვარსკვლავთაგანია უნიჭიერესი გრამატიკული ჰოქტი სილოვან ხუნდაძე, ქუთაისელი ძველათგან „ღენერალათ“ წოდებული.

სილოვანი როგორც პოეტი.

ქართულ სიტყვა გახმულ ლიტერატურას შთან რუსთაუელს შემდეგ არც კი ასოკონ ასეთი შესანიშნავი და დრამა აზროვანი ლექსება, როგორის წარმოშობაც ჩვეულებათ აქვს სილოვანის ბედნიერ მუხას. ეს დიდებული ნიჭი უკვე გამოჩინებული იყო 1886 წელსაიგ, ოდეს „ივერიის“ 46 ნომერში დანაშუღია მის შესახებ შემდეგი:

„შენს სარკმელს ქვეშ ვდევარ გიმზერ“  
ჰე პოეტო სილოვანო,  
და ქუჩაზე რჩევას გიწერ  
მოძმეს, ჩემო გულოვანო!  
თუ გსურს სძლიო „ლიაკენებსა“  
„ძალით ზეციით მონაბერით“  
პროზა იქით... გამოლაშქრდი  
„სასარკმელი ჩანვის გღერით“.

დახ, როგორც ხედავთ შეველეტონე „ივერიის“ მას უწოდებს „მუხას ზეციით მონაბერს“ და ეს მასკავირველად არც უმიზეზობ. უნდა გასსოდეთ რომ ეს გახლდათ ამ ხანებში, როცა ნიჭი ჩვენი რანდ-მოგონსნის განვითარების უმადლეს წერტილზე იდგა და დღევანდელი ჩინაყობა არ ეტეობოდა. შემოხსენებულა შეველეტონე განაგრძობს ამა დიდებული მუხას აღწერას.

„როს ის, (ვინაც არ აღმერთა  
„პოეტო შორის ხარაბუნა“),  
შედრკეს, როცა დაინახოს  
შენი ბრმა და კოჭლი მუხა,  
მუხა უშნო, უღაზთო,  
არც გვიანი და არც მალი  
გრანობით მოკლე, რითმით გრძელა  
ორიფებით დამავალი!  
ასე ჩემო სილოვანო  
არ „ლიაკენით“ ჩინოვანო...“

(აქ იველეტონის ავტორს წერტილება იმისთვის დაუსვამს, რომ სიტყვა სილოვანზე ვერაფერი რიფში ვედარ შეუწყვია გარდა „ივერიის ბიბლიოვანის“ და პროტესტს უცხადებს შეგონის ნათლას ასეთი არა ჰოქტურა სახელის არჩევისათვის.

შემდეგ ამის იგივე შეველეტონე „ივერიის“ ცნობილი ილია ხონელი გამომცანაში აღვიწესსავს უმწვერვალესს ნიჭს სილოვანისას და იტყუება:

მოდგმა მოსდევს უსათუოდ  
ლიდ-კაცების გვარონობის...  
თუ ასეა, რათ გვიკვირდეს  
მისი ზიზლი დიაკნობის?  
ან მოდგმით თუ მდაბიოა  
ღნ თვით არის ჩინოვანი!!  
ნეტაც ჰამეო: არის სადმე  
ღენერალი სილოვანი?  
თქმულა: ვის რაც ბედმა მისცეს  
ღსაჯერდეს და მას უბნობდეს  
მუხა მიწას მუშაობდეს  
ღიაკონი დიაკნობდეს  
ციტუნ-კიკუნა პოეტი  
სარკმელ ქვეშ ციუნობდეს  
ღენერალი სილოვანი  
სილოვანობდეს, ღენერლობდეს“.

მას შემდეგ რაც ეს ლექსი დაიწერა აკერ ოცდა ერთი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში დიდებული ნიჭი ქუთათური რუსთაველის ერთხელაც არ ჩამოხტარა თავისი თხოფებური მწვერვალდის.

და კვლავ იპყრობს ყურადღებას  
„პოეტო შორის ხარაბუნა“  
თავს დაგვჩხავის სილოვანის  
ერთობ ბრმა და კოჭლი მუხა.  
აღრინდელზე უფრო ჩღუნგი,  
აღრინდელზე მეტად მყრალი  
გრანობით მოკლე, რითმით გრძელი  
ორიფებით დამავალი.

**სილოვანი როგორც გრამატიკოსი.**

მუხედავით ზოგადიში ონიფანთ სიარულითა, სილოვანი ქართული ენის რიგის მტკიცით ითვლება და მისი გრამატიკა სხვა მკვლევარებს თუ წაწილებს, თორემ უკან მანდ არ ჩამორჩება. მისი სილოვანი სავსეა უმეტეს გოგლის ზმნა. როგორც მოკმეხება ზმნა იმგვარ სიტყვებს ჰქვია, რომელიც მოკმეხება თუ მდგომარეობას გამოხატავს და ზმნა გრამატიკისი, როგორც უმთავრესად მომქმედი აღმანი ამგვარებს იგვლებს.

**სილოვანი როგორც პედაგოგი.**

საქართველო დარბია რიგისი მასწავლებლებით ზემო ზესტალოცები სულ ცალი ხელის თითებზე ჩამოიხელებიან. სილოვანი როგორც ინსპექტორი თუ თანამემწე ინსპექტორის სათავეში უდგას ქუთაისის სათავადაზნაურთა გიმნაზიას და უმზადებს მამულს მომავალ გმირებს. აღზრდის საქმეში ის მომხრეა ძველი პედაგოგის ვეჩხუბის პრინციპის, რომელიც მოწინააღმდეგე იყო მასწავლებელთა მოთქმისადმი დასჯის, მაგრამ სწორით მიხნდა გერეთ წოდებული „მომხრე სოტრიასენი“ „უცხედი ახუ მოულოდნელი შეხედრეა. აი რაში იდგამარება ეს უბრალო საშუალება: ვსთქვათ მოწინააღმდეგე არაღვეს სასწავლებლის რამე არსებულ წყობილებას. მასწავლებელი უნდა მეფარდეს და გაუფრთხილებლათ გაართყას ენაში. აქედან წარმოსდგება „მომხრე სოტრიასენი“. ეს მეტის მეტი სიმამტიური ზეულებას, მაგრამ სუბილდურით ცნობილ პედაგოგებში ჯერ მართო სილოვანი უკან მოხნება.

**სილოვანი როგორც პუბლიცისტი.**

